ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (რეგულირებადი)

პროგრამის სახელწოდება: სამართალი/ LAW

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი 60 კრედიტიანი (ECTS) ნაწილის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია - სამართლის მაგისტრი (Master of Law);
- პროგრამის II ნაწილის დასრულების შემდგომ: კვლევის მაგისტრი სამართლში/Master of Research in Law (მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და არანაკლებ 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში)..

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. ერთი კრედიტი (ECTS) შეესაბამება სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ეროვნული საკვალიფიკაციო

ჩარჩოსა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს და შედგება ორი თანმიმდევრული 60 ECTS კრედიტიანი ნაწილისგან.

პროგრამის პირველი, 60 ECTS კრედიტიანი ნაწილი ორიენტირებულია საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში სტუდენტის სპეციალიზაციაზე, პრაქტიკული და პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე, აგრეთვე სამართლებრივი პრობლემების ანალიზისა და გადაწყვეტის უნარის გაძლიერებაზე.

პროგრამის მეორე, 60 ECTS კრედიტიანი ნაწილი ორიენტირებულია საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში სიღრმისეული კვლევის განხორციელებაზე, თეორიული და ანალიტიკური ცოდნის გაღრმავებაზე, აგრეთვე კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების კრიტიკული ანალიზისა და გადაწყვეტის უნარის განვითარებაზე. პროგრამის მეორე, 60 ECTS კრედიტიანი ნაწილი მოიცავს კვლევით კომპონენტს – სამაგისტრო ნაშრომს.

სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთ აკადემიურ წელს სტანდარტულად შეადგენს 60 ECTS კრედიტს, ხოლო ერთ სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. პროგრამის პირველი 60 კრედიტიანი ნაწილის სტანდარტული ხანგრძლივობაა 2 სემესტრი (1 აკადემიური წელი), ხოლო მეორე 60 კრედიტიანი ნაწილის სტანდარტული ხანგრძლივობაა 2 სემესტრი (1 აკადემიური წელი). სრული პროგრამის (120 ECTS) სტანდარტული ხანგრძლივობაა 4 სემესტრი (2 აკადემიური წელი).

დასაშვებია სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. ამასთან, დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი, სამართლის დოქტორი - ირაკლი ბურდული

3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და B2 დონის უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენისა და სპეციალობის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შინაარსი, ჩატარების პროცედურა, საგამოცდო საკითხები და შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

სამართლის 120 კრედიტიან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს სამაგისტრო გამოცდას.

სამაგისტრო გამოცდა შედგება ორი ნაწილისაგან:

- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდები.

საუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს მაგისტრანტობის ის კანდიდატი, რომელიც გადალახავს საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

საუნივერსიტეტო გამოცდები მოიცავს:

- წერით გამოცდას უცხო ენაში, რომლის მიზანია უცხო ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დადასტურება;
- წერით გამოცდას სპეციალობაში.

საერთო სამაგისტრო გამოცდისა და საუნივერსიტეტო გამოცდების შედეგების საფუძველზე გამოვლინდება მაგისტრანტობის ის კანდიდატი, რომელიც უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი 60-კრედიტიანი ნაწილის ფარგლებში.

სამართლის 120-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველ 60-კრედიტიან ნაწილზე ჩარიცხულ პირს, აღნიშნული ნაწილის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, უფლება აქვს სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლა გააგრძელოს იმავე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე 60-კრედიტიან ნაწილზე, თუ პროგრამის პირველ ნაწილზე ჩარიცხვიდან არ არის გასული 5 წელი.

აღნიშნული ვადის გასვლის შემთხვევაში, სამართლის 120-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე 60-კრედიტიან ნაწილზე ჩარიცხვისათვის პირი ვალდებულია ჩააბაროს სამაგისტრო გამოცდა.

პირის ჩარიცხვა, რომელმაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაასრულა სამართლის არანაკლებ 120-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი 60-კრედიტიანი ნაწილი, წინამდებარე პროგრამის მეორე 60-კრედიტიან ნაწილზე შესაძლებელია მხოლოდ სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი კანდიდატი ვალდებულია აკმაყოფილებდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52^1 მუხლის მე-7 და მე-7^1 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად.

შენიშვნა: მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება უცხო ენის საუნივერსიტეტო გამოცდისაგან, თუ წარმოადგენს უცხო ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ ვალიდურ საერთაშორისო სერტიფიკატს და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ შესაბამის სერტიფიკატს (CERTUS), ან ბოლო 2 წლის განმავლობაში მიღებულ უცხოენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომს. უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენის გამოცდისაგან თავისუფლდება კანდიდატი, ვისაც ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხურზე გავლილი აქვს სასწავლო კურსი.

11. პროგრამის სტრუქტურა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი, 60 ECTS კრედიტიანი ნაწილი შედგება მხოლოდ სასწავლო კომპონენტისგან და მოიცავს:

- პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსს – 6 ECTS;
- საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მიმართულების სავალდებულო სასწავლო კურსებს – 18 ECTS;
- საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მიმართულების არჩევით სასწავლო კურსებს – 6 ECTS;
- პრაქტიკულ კლინიკას - 12 ECTS.
- იურიდიულ კლინიკას – 18 ECTS.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე, 60 ECTS კრედიტიანი ნაწილი შედგება სასწავლო (30 ECTS) და კვლევითი (30 ECTS) კომპონენტებისგან.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე, 60 ECTS კრედიტიანი ნაწილის სასწავლო კომპონენტი მოიცავს:

- პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსს – 6 ECTS;
- საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსებს – 24 ECTS.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ირჩევს სამართლის ერთ მიმართულებას. ამასთან, სტუდენტს უფლება აქვს, მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, წინაპირობების დაცვით, აირჩიოს სხვა მიმართულების სასწავლო კურსი, მაგრამ არაუმეტეს 6 ECTS კრედიტისა.

იურიდიული კლინიკა (18 ECTS) პროგრამის სავალდებულო კომპონენტია და მიზნად ისახავს სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებას. კლინიკის ფარგლებში სტუდენტი პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებს პარტნიორ ორგანიზაციებში, პრაქტიკის ხელმძღვანელის ზედამხედველობით.

პროგრამის მეორე ნაწილის კვლევითი კომპონენტი (30 ECTS) წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის სახით. სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომს ასრულებს იმ მიმართულების ფარგლებში, რომელშიც დაგროვილი აქვს არანაკლებ 18 ECTS კრედიტი.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი 60 კრედიტიანი ნაწილის სასწავლო გეგმა (მიმართულებები, სასწავლო კურსები შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება	სასწავლო კურსის კოდი	ECTS კრედიტი/საათი	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა		დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი
				საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები		
I. ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები (54 ECTS)							
1.1. საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები (36 ECTS)							
1	სამოსამართლო სამართალი და სამოსამართლო ეთიკა	LAWMA0001	6/150	33	117	არ გააჩნია	1
2	პრაქტიკული კლინიკა	LAWMA0002	12/300	130	170	არ გააჩნია	1
3	იურიდიული კლინიკა	LAWMA0003	18/450	362	88	LAWMA0002	2
1.2. საჯარო სამართლის მიმართულების სავალდებულო სასწავლო კურსები (18 ECTS)							
1	შედარებითი კონსტიტუციონალიზმი	LAWMA1001	6/150	31	119	არ გააჩნია	1
2	ადმინისტრაციული პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	LAWMA1002	6/150	31	119	არ გააჩნია	1-2
3	ადამიანის უფლებები და სასამართლო პრაქტიკა	LAWMA1003	6/150	31	119	არ გააჩნია	1-2
1.3. კერძო სამართლის მიმართულების სავალდებულო სასწავლო კურსები (18 ECTS)							
1	შედარებითი კერძო სამართალი	LAWMA2001	6/150	31	119	არ გააჩნია	1
2	საკორპორაციო სამართლებრივი სისტემები	LAWMA2002	6/150	31	119	არ გააჩნია	1-2
3	სამოქალაქო საპროცესო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	LAWMA2003	6/150	31	119	არ გააჩნია	1-2
1.4. სისხლის სამართლის მიმართულების სავალდებულო სასწავლო კურსები (18 ECTS)							
1	სისხლის სამართლის დოგმატიკა და სასამართლო პრაქტიკა	LAWMA3001	6/150	31	119	არ გააჩნია	1
2	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი	LAWMA3002	6/150	31	119	არ გააჩნია	1-2
3	სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	LAWMA3003	6/150	31	119	არ გააჩნია	1-2
II. ძირითადი სწავლების სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/კომპონენტები (6 ECTS)							
2.1. საჯარო სამართლის მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსები (6 ECTS)							
1	შედარებითი ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი	LAWMA 1101	6/150	31	119	არ გააჩნია	2
2	პარლამენტარიზმი	LAWMA1102	6/150	31	119	არ გააჩნია	2
3	შედარებითი სამოხელეო სამართლი	LAWMA1103	6/150	31	119	არ გააჩნია	2
4	შედარებითი ადმინისტრაციული სამართალი	LAWMA1104	6/150	31	119	არ გააჩნია	2

2.2. კერძო სამართლის მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსები (6 ECTS)							
1	ფასიანი ქაღალდების სამართალი	LAWMA2101	6/150	31	119	არ გააჩნია	2
2	შიდა და გარე კორპორაციული მართვა	LAWMA2102	6/150	31	119	არ გააჩნია	2
3	კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი	LAWMA2103	6/150	31	119	არ გააჩნია	2
4	საკუთრების უფლება და ქართულ-ევროპული სასამართლო პრაქტიკა	LAWMA2104	6/150	31	119	არ გააჩნია	2
2.3. სისხლის სამართლის მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსები (6 ECTS)							
1	საერთაშორისო სისხლის სამართლის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი	LAWMA3101	6/150	31	119	არ გააჩნია	2
2	ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები	LAWMA3102	6/150	31	119	არ გააჩნია	2
3	დანაშაულობის პრევენციის თანამედროვე მოდელები	LAWMA3103	6/150	31	119	არ გააჩნია	2
4	სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა, განრიდება და მედიაცია	LAWMA3104	6/150	31	119	არ გააჩნია	2

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე 60 კრედიტიანი ნაწილის სასწავლო გეგმა
(მიმართულებები, სასწავლო კურსები შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება	სასწავლო კურსის კოდი	ECTS კრედიტი/ საათი	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა		დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი
				საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები		
I. ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები (6 ECTS)							
1	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	LAWMA0004	6/150	26	124	არ გააჩნია	3
II. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები/კომპონენტები (24 ECTS)							
2.1. საჯარო სამართლის მიმართულებით (18 ECTS)							
1	ქართული კონსტიტუციონალიზმი	LAWMA1105	6/150	31	119	არ გააჩნია	3
2	საჯარო მმართველობა და ადამიანის უფლებები	LAWMA1106	6/150	31	119	არ გააჩნია	3
3	საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	LAWMA1107	6/150	31	119	არ გააჩნია	3
4	ევროპული და შედარებითი კონკურენციის სამართალი	LAWMA1108	6/150	31	119	არ გააჩნია	3
5	სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა	LAWMA1109	6/150	31	119	არ გააჩნია	3
6	მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა	LAWMA1110	6/150	31	119	არ გააჩნია	3
2.2. კერძო სამართლის მიმართულებით (18 ECTS)							
1	საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართალი: თეორია და პრაქტიკა	LAWMA2105	6/150	31	119	არ გააჩნია	3
2	ინვესტიციების დაცვის სამართლებრივი რეჟიმები	LAWMA2106	6/150	31	119	არ გააჩნია	3
3	ევროკავშირის კერძო სამართალი და ევროპული სასამართლო პრაქტიკა	LAWMA2107	6/150	31	119	არ გააჩნია	3
4	შედარებითი სანივთო სამართალი	LAWMA2108	6/150	31	119	არ გააჩნია	3
5	კერძო სამართალი სტრასბურგის სასამართლოს სამოსამართლო სამართალში	LAWMA2109	6/150	31	119	არ გააჩნია	3
6	შედარებითი სადაზღვევო სამართალი	LAWMA2110	6/150	31	119	არ გააჩნია	3
7	საერთაშორისო შრომის სტანდარტები	LAWMA2113	6/150	31	119	არ გააჩნია	3
2.3. სისხლის სამართლის მიმართულებით (18 ECTS)							
1	სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრობლემები და გერმანიის სასამართლო პრაქტიკა	LAWMA3105	6/150	31	119	არ გააჩნია	3
2	ევროპული სისხლის სამართალი და ქართული სისხლის სამართლის ევროპიზაცია	LAWMA3106	6/150	31	119	არ გააჩნია	3
3	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები პენიტენციურ სისტემაში	LAWMA3107	6/150	31	119	არ გააჩნია	3
4	ფარული საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის პროცესში	LAWMA3108	6/150	31	119	არ გააჩნია	3
5	ვიქტიმოლოგია	LAWMA3109	6/150	31	119	არ გააჩნია	3
6	ადამიანის უფლებათა მონიტორინგი დახურული ტიპის დაწესებულებებში	LAWMA3110	6/150	31	119	არ გააჩნია	3
II. კვლევითი კომპონენტი (30 ECTS)							

1	სამაგისტრო ნაშრომი	LAWMA2501	30/750	16	734	24 ECTS[1]	4

[1] კვლევით კომპონენტზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც მთლიანობაში დაგროვილი აქვს 24 ECTS, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების/კომპონენტების ხარჯზე.